კიევის ოლქის ქალაქ ბელაია ცერკოვში სქიზმატიკოსებმა უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძარი მიიტაცეს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 24.03.2025. სქიზმატური „მეუ"-წარმომადგენლებმა უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას კიევის ოლქის ქალაქ ბელაია ცერკოვში ტაძარი წაართვეს, – **იუწყება** TACC.

„წინა დილით, კომენდანტის საათის დასრულებისთანავე, სქიზმატიკოსებმა გვერდითი კარის საკეტები დააზიანეს და პანტელეიმონის ტაძრის ტერიტორიაზე შეიჭრნენ", – გვაცნობეს ბელაცერკოვის ეპარქიაში და დასძინეს, რომ ტაძრის მიტაცება მოხდა სამართალდამცავების თანდასწრებით და ქალაქის ხელისუფლების მხარდაჭერით.

ასევე აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ტაძარზე საწესმდებლო დოკუმენტების უკანონო ხელახალ რეგისტრაციას.

2024 წლის 23 სექტემბერს უკრაინაში ძალაში შევიდა უმაღლესი რადას მიერ მიღებული და ვლადიმერ ზელენსკის მიერ ხელმოწერილი კანონი No8371, რომელიც მიმართულია უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებაზე. ხელისუფლებამ ააგორა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის ყველაზე მასშტაბური ტალღა ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში, რომელიც მორწმუნეთა უმსხვილესი თემია ქვეყანაში. რუსეთთან კავშირების მოტივით, უკრაინის სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობის აკრძალვის თაობაზე. უკრაინის უშიშროების სამსახურმა დაიწყო სისხლის სამართლის საქმეების გახსნა კანონიკური ეკლესიის სასულიერო პირების წინააღმდეგ. უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის ასობით ტაძარი ძალით იქნა მიტაცებული „მეუ“-ს სქიზმატების მიერ ხელისუფლების მხარდაჭერით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93006/